N735 2014 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო მედიაციის სამსახურის ხელმძღვანელის დანიშვნაზე უფლებამოსილი პირისა და სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს განსაზღვრის შესახებ

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განახორციელოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამედიცინო მედიაციის სამსახურის:

ა) სახელმწიფო კონტროლი;

ბ) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნა.

მუხლი 2. ამ დადგენილების მიღება არ უკავშირდება ამავე დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო მედიაციის სამსახურის ხელმძღვანელის ხელახალ დანიშვნას/გადანიშვნას.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**